<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შვიდ შესახვევს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X:496815 Y:4617836
X:496762 Y:4617219
X:496603 Y:4616513
X:496630 Y:4616391
X:496568 Y:4616354
X:496550 Y:4616269
X:496525 Y:4616150
X:496498 Y:4616024
X:496471 Y:4615895
X:496449 Y:4615779
X:496431 Y:4615688
X:497367 Y:4616536
X:497348 Y:4616405
X:497329 Y:4616281
X:497445 Y:4616165
X:497284 Y:4616032
X:497264 Y:4615916
X:497235 Y:4615786
N
1:12,000

ლევან დევდარიანი

(1984 – 2008)

კაპრალი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი

დაიბადა ლენტეხის რაიონში, სოფელ ზესხოში. 6 წლის იყო ლევანი, როცა ოჯახი სვანეთიდან გარდაბანში გადავიდა საცხოვრებლად.

დედა ბიბლიოთეკაში მუშაობა. ბავშვობიდან უყვარდა კითხვა. იყო წარჩინებული მოსწავლე, კარგად ფლობდა საბრძოლო ხელოვნებას და კარატეში ფლობდა „შავი ქამარს“. იყო მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი ასაკობრივ ჯგუფში, ორგზის კავკასიის ჩემპიონი კარატეში. ასევე ვარჯიშობდა კიკბოქსინგში.

2004 წელს ჩააბარა ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობაზე. უნივერსიტეტი 2008 წელს დაამთავრა, გადაწყვეტილი ჰქონდა სამხედრო აკადემიაში ჩაბარება. 2007 წლის გაზაფხულზე კონტრაქტით ჩაირიცხა მეოთხე ქვეით ბრიგადაში.

2008 წლის აგვისტოში პირველივე დღიდან ჩაერთო საბრძოლო მოქმედებებში. სამაგალითო იყო მისი სიმამაცე ბრძოლაში.

გარდაიცვალა 10 აგვისტოს თანამებრძოლების ტყეობიდან განთავისუფლების დროს.

დაკრძალულია მუხადგვერდის ძმათა სასაფლაოზე.